ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.01.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 010/14

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერლობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 31 იანვარს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ დ. პ.-ის ინტერესებს იცავდა. 2013 წლის 04 ნოემბერს მასთან საადვოკატო ბიუროში ადვოკატი მ. ბ. მივიდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ბ.-მ იგი მოატყუა და უთხრა, რომ ბრალდებულ დ. პ.-ის საქმეზე თავად დაზარალებულ კ. ფ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ბ. მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა იმ მიზნით, რომ დაზარალებულისთვის 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდაზე დაეთანხმებინა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მ. ბ.-ს განუცხადა, რომ მკურნალობის ხარჯებს 2 200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით სრულად გადაიხდიდნენ, ხოლო სხვა ხარჯების

ასანაზღაურებლად მტკიცებულების სახით შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა წარედგინა დაზარალებულის ოჯახს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა პოზიციამ მ. ბ. გააბრაზა და მან საჩივრის ავტორს მოწმე გ. ბ.-ის დანაბარები გადასცა. გ. ბ. ყოფილი პროკურორი იყო და ნ. კ.-ს სერიოზული პრობლემების შექმნით ემუქრებოდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ბ.-მ მას განუცხადა, რომ 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში ბრალდებულს 10 000 (ათი ათასი) ლარის გადახდა მოუწევდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ბ. არ იყო დაზარალებულ კ. ფ.-ს ადვოკატი, რაც გამომძიებლის მიერ საჩივრის ავტორისათვის გადაცემული სისხლის სამართლის მასალებითაც დასტურდება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ბ.-მა მის მიმართ უპატივცემულობა და არაკოლეგიალობა გამოიჩინა. მისი მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა საჩივრის ავტორს საკუთარი კლიენტის ინტერესების წინააღმდეგ ემოქმედა, რაც აკრძალულია როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე ადვოკატთა ეთიკის კოდექსით.

1.7 2014 წლის 04 მარტს საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ პრეტენზია აღარ აქვს და უარს ამბობს წარდგენილ საჩივარზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2014 წლის 06 თებერვალს ადვოკატმა მ. ბ.-მ ეთიკის კომისიას წარუდგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის ბრალდებები არის უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი. ადვოკატის განმარტებით, დაზარალებულ კ. ფ.-ს მეგობრის - გ. ბ.-ის თხოვნით მას დაზარალებულის ინტერესები სამოქალაქო კუთხით უნდა დაეცვა. მხარეები რწმუნებულების გაცემაზეც შეთანხმდნენ, თუმცა მანამდე ადვოკატს საქმის მსვლელობის ეტაპი უნდა გაერკვია და სწორედ ამ მიზნით მივიდა ოფისში ნ. კ.-სთან, რომელიც ამ საქმეში ბრალდებულ დ. პ.-ის ინტერსებს იცავდა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ნ. კ.-ის ოფისში არა საკუთარი ინიციატივით, არამედ დაზარალებულ კ. ფ.-ს თხოვნით მივიდა. იმ პერიოდში კ. ფ. მოწმის სახით არც იყო დაკითხული. მას, როგორც ადვოკატს, ჰქონდა უფლება დაეცვა მისი პოტენციური კლიენტის ინტერესები.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან ნ. კ.-ს ჰკითხა საქმის მსვლელობის შესახებ და აღნიშნულ საქმეში სამოქალაქო კუთხით მისი სავარაუდო ჩართვის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რასაც ნ. კ.-ის მხრიდან აგრესია და მოწმე გ. ბ.-ის ლანძღვა მოჰყვა პასუხად. ნ. კ.-ის არაკვალიფიციური და არაკოლეგიალური ქმედების შემდეგ მან ნ. კ.-ის ოფისი დატოვა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ადვოკატ ნ. კ.-ს პირადი დაპირისპირება ჰქონდა მოწმე გ. ბ.-სთან და 2014 წლის 30 იანვარს გორის რაიონულ სასამართლოს ფოიეში ადვოკატისთვის შეუფერებელი ქმედებით პროვოკაციაც მოუწყო მოწმე გ. ბ.-ს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ ნ. კ.-ზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენის ფაქტი არ შეესაბამება სიმართლეს და ვერც მის მიერ წარდგენილი მტიცებულებები შეუწყობენ ხელს საქმის გარემოებების გარკვევას. შესაბამისად, ნ. კ.-ის საჩივარი ეთიკის კომისიის მიერ არ უნდა იქნეს განხილული.

3. მოწმე კ. ფ.:

3.1 მოწმის წერილობითი ახსნა-განმარტების მიხედვით, ნ. კ.-ის საჩივარი ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ არის უსაფუძვლო. იგი იყო დაზარალებული და რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავად ვერ ახერხებდა ადვოკატის აყვანას, ამიტომ თავის მეგობარს - გ. ბ.-ს სთხოვა ადვოკატ მ. ბ.-სთან დაკავშირება.

3.2 მოწმის განმარტებით, იგი ადვოკატს ტელეფონით ესაუბრა და ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობის გაცემაზეც შეუთანხმდა. ამავდროულად მ. ბ.-ს სთხოვა, რომ ბრალდებულ დ. პ.-ის ადვოკატ ნ. კ.-სთან მისულიყო და საქმის მიმდინარეობის შესახებ მიეღო ინფორმაცია.

3.3 მოწმის განცხადებით, მან მალევე შეიტყო, რომ ადვოკატ ნ. კ.-სთან კომუნიკაცია არ შედგა. მოწმის განმარტებით, იგი ადასტურებს, რომ მისი ინტერესების დაცვა მიანდო ადვოკატ მ. ბ.-ს და ადვოკატი უფლებამოსილი იყო მის საქმესთან დაკავშირებით ეწარმოებინა მოლაპარაკება და დაინტერესებულიყო საქმის მსვლელობით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი მ. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №----/, საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

4.2 ნ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 31 იანვარს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013 წლის ნოემბერში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 32-ე მუხლის თანახმად უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 32-ე მუხლის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელი ან პირი, ვისი მომართვის საფუძველზეც დაიწყო დისციპლინური წარმოება, უარს იტყვის საჩივარზე.“

6.2 საჩივრის ავტორმა 2014 წლის 04 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ უარს ამბობს საჩივარზე მ. ბ.-ს მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, 32-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №010/14 ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი №----/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/